


43
1877/3

წელიწადი
პირველი

3 მარტს
1877 წ.



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ბამონის ხუთაბათობი

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, შთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სახლუბის სემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

თბილისი, გაგზავნილი და გაუგზავნელი... 6 მან. —

თბილისი ნომერი... — 15 კან.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეა
მოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძირკველი: I. წინასიტყვაობა.—II. საქართვე-
ლოს მატეანე: ტფილისის გუბერნიის ეკონომიური ღონე
რის ნაკლებ არ უნდა იყოს.—III. ცხოვრება და კანონ-
ნი: წერილი პირველი —IV. მოკლე მოთხრობა სხვა და
სხვადასხვა მწიფოთათვის.—V. ქალაქის სცენები, სცენა—I.
VI. უკარგი რამ მჭირდეს გიგვირდეს, ავი რასაკვირვე-
ლია.—VII. წერილი ამაუბი.—VIII. განცხადება.—

წინასიტყვაობა

ყურანალ-გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირებული
ჩვეულება. გამოვა ასალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქ-
ცია უცილო ვალად ჭრაცხს პირველ ნომერშივე საზოგა-
დობას აუხსნას თვისი დედა-აზრი, თვისი მიმართულება,
აღზუსტოს ყოველი ის, რითაც უზირობს გაზეთს სულის
ჩადგმას და ხორცის შესხმას. ამ ჩვეულების ძალმომრე-
ობით გაზდილი საზოგადოებაც დანისხავს ასალს გაზეთს
თუ არა, გულდაჯერებულია რომ პირველს ნომერშივე
იბრკის რედაქციის აღსარებას მასზედ თუ რა აზრი და
დანიშნულება აქვს ამ ასალ გაზეთს; რის შემოტანს
ჭურის მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა
კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ
საგანთა გამოძიებაში; რა თვალთ განხილვამს ყოველს
მას, რაც ხეინი თუ სხვის ცხოვრება თვისს დაუდგრო-
მელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსა-
ხურება და ბოლოს რას გეპირდება და რას გეიქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და პატე-სადები
საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რა საკვირველია, უნდა იტო-
დეს რა აზრის ვაცთან იტყოს საქმეს, რისა და ვის მიმ-

დეკარს უნდა ათხროვს თავისი ყურადღება. მკვამ ყო-
ველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, ზასუსის მიცემა
თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერ-
ხობაც მიგვახსნია. ამ შემთხვევაში ზასუსად სომ ცარიელი
ლიტონი სიტყვა უნდა იყოს,—და ცარიელი სიტყვა რა
თამასუქია ნამეტანვად ამისთანა უკვით სავე დროში. ვი-
ნა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რის-
თვის გამოვდივარ მოედანზედ—ესე ყველა იმისთანა სა-
განია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება ვაცსა. რაში
ერთი: ვარც იტყვის ვაცი—თავისთავზედ თქმა იქნება
და თუნდ მართალიც იყოს, ტრანსპარანსაში ჩამოაბთიქვენ,
ცუდს იტყვის ვიდეკ—სულელობა გამოვა, ჭეინესი არ
იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის
რომ ვაცმა თავი იტყინოს და იმ შემოსხენებულს ჩვეუ-
ლებას თავიდან ბოლომდე მიეტყოს. გაზეთის საქმე დრო-
თა მიმდინარობისაა. დროს დავაცდლოთ მის თქმა, რის
მოლოდინიცა აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ხვენ დღეს მარტო ზოგიერთს ხეინს აზრს გამოვს-
თქვამთ მასზედ თუ გაზეთ-ყურანალობა რა ღონეა, რა
ძალა, რა ფარ-სმალა დადამინისთვის ცალკე და საზოგა-
დობისთვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც
მაგის ასპარესზედ გამოვა და რა მოვალეობასა სდებს
ვისრად.

ყურანალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგ-
ნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც
ყოველს გონებითსა ძალას დადამინისას და მის ნამოქმე-
დას, ისე ყურანალ-გაზეთობა მსაქმეობს მწიგნობრობას.

საქართველოს რევოლუციური მუზეუმი
33 რედაქციის
26095
308 ლიტონი

135836
3340
26095

რება აქვს. ცხოვრება დაუდგრომელს დუდილშია, ფეხშეუფრ-
 ნებულს მოძრაობაშია. იგი თვის დუდილში, თვის მიმდინა-
 რებაში ბეკის რთულს სსქეს და სსგანს წამოგვიყენებს
 ხოლმე თვალწინ. ამ სსქეს და სსგანს გარეგან უნდა,
 ახსნა და თავისი ადგილის მიზრძევა. ადამიანის გონებო-
 თი ძალა, რომელიც დღე მუდამ უნდა დაჭსტრიალებდეს
 ცხოვრებას, ორგვანად შეეხება ამ ცხოვრებისაგან აღმო-
 ჩენილს სსქეს და სსგანსა. ზირველი, როგორც მსალას,
 რომელიცადაც მეცნიერებისა ძალას ადამიანისას გამოჭ-
 უავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამა-
 რებს მეცნიერების შენობასა, საიდაც ეს დედა-აზრ-
 ნი ისევე ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ. უამისოდ მეც-
 ნიერება უმძარი განძია, უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშობაა.
 მეორე, როგორც წილადებს, რომელიცაგანაც შედგარია
 დღევანდელი დღე, მის შინაგან-გარეგანი, ერთის სიტუ-
 ვით, ის ჭკერი, რომელიცა დღეს ვსუნთქვით, ვცხოვრობთ
 და ვაი ვვაგლახობთ, ჩვენ და თქვენ, მკითხველ. რა ღო-
 ნისძიებაა იმისთანა, რომ დღე მუდამის ცხოვრებისაგან
 მოგროვილი მსალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერე-
 ბიდაც დედა-აზრნი გადმოიტანოს ცხოვრებაში? მეორეს
 მხრით, რა საშუალებაა იმისთანა, რომ დღე-მუდამის ცხო-
 რების ავ-გარეგანობა, ვითარება გადისატოს, გადისახოს?
 მწიგნობრობა ერთობ და უურნალ-გაზეთობა საკუთრივ.


ამ სახით უურნალ-გაზეთობას ორგვანო დანიშნუ-
 ლება აქვს. ერთის მხრით იგი აჩის შუამავალი ცხოვრე-
 ბისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრი-
 ობის ჭკვით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარე-
 ბულის სიმართლისა და ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით,
 იგი აჩის საჩქე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა,
 მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში ჭსჩანს
 და ისახება ყოველ-დღიურის აზრის მიდენ-მოდენა.

როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი,
 უურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავ-
 ლებულს, რომლის მეორებითაც უნდა აღორძინდეს, აღი-
 ზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენდეს საზოგადოების
 აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხო-
 რების საჩქე, უურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რა-
 შიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი,
 გრძნობა, სურვილი ცხოვრების სსვა და სსვა სსგანთა თა-
 ობაზედ. რამოდენადაც იგი ამის ამსრულებელია, იმოდენ-
 ნად იგი საწყლად საზოგადოების გონებითის, ზნეობი-

თის ძალისა და ნიჭისა, იმოდენად იგი საზოგადოების ცხოვრების
 მოთხოვნილებისა და საჭიროებისა, იმოდენად იგი საშ-
 უალებია, რომლის ძალითაც თვით საზოგადოება თვისის
 ცხოვრების სადავეს ხელთ იპყრობს და ცხოვრების თვით
 რწმუნს დენას საკუთარს თაოსნობას უმორჩილებს.

ამ ორგვანს დანიშნულებას უურნალ-გაზეთობისას
 ერთი და იგივე ფერი აჩ დევს სსვა და სსვა საზოგა-
 დობაში და ერთსა და იმავე საზოგადობაში სსვა და
 სსვა ისტორიულს დროს. აჩის დრო და საზოგადოება
 სსვა უურნალ-გაზეთობა განსაკუთრებით თუ აჩა, უმძა-
 რესად მანც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს სა-
 ზოგადობის ჭკვა და გონება, გაუწმინდოს აზრი და
 გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვით-მოქმედობი-
 თი ძალი და ხალისი თვით-ცნობისა. აჩის დრო და სა-
 ზოგადობა, სადაც უურნალ-გაზეთობა საზოგადოების
 გამჭრისაობის, ზნეობითის მხნეობის და თაოსნობის გა-
 მომეტეველია, ასწარება სსვა და სსვა ცხოვრების გა-
 შირთა და ძალთა ბრძოლისა. აჩის დრო და საზოგადო-
 ება, სადაც უურნალ-გაზეთობა და ცხოვრება და-ძმავით
 ხელი-ხელს გაყრილი მიდის, უურნალ-გაზეთობა წი მი-
 უძღვის ცხოვრებასა და გზას უნათებს და ცხოვრება ვი-
 დე მწიგნობრობის მოდენას თავისის უკეთესის ყვავილი-
 თა ჭყენს. აჩის კიდევ დრო და საზოგადოება, მეტევი,
 მკითხველო, სადაც უურნალ-გაზეთობა ერთმანეთის დახდა
 და თრქვაა. კეც აჩის, ჩვენდა საუბედუროდ, მაგრამ რა ვუ-
 ყოთ, სადაც წყრილია, იქა წყდება ხოლმე. ეს ვება ტანი და-
 მინის ცხოვრებისა ისე როგორ გადაჩება, რომ დრო-
 თა ბრუნვამ სადმე მუწუგი და იაჩა აჩ აუჩინოს.

ეს სსვა და სსვა ფერობა უურნალ-გაზეთობისადა-
 მოვიდებულისა სსვა და სსვა გარემობაზედ. იმ ქვეყანაში,
 სადაც საზოგადოების თვით-მოქმედობის ძალა მილეულია,
 სადაც გონებითი და ზნეობითი ნიჭი დამნიებულია, იქ რა
 საკვირველია, მწიგნობრობა ერთობ, და უურნალ-გაზეთო-
 ბა საკუთრივ მხლად თუ იქნება საზოგადოების აზრისა
 და გუნების გამოძიებელი. აქ უზირველია მოვალეობა
 უურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება
 უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვით-მოქმედობის
 ძალსა, მან უნდა აღადგინოს გონებითი და ზნეობითი
 ნიჭი. იმ ქვეყანაში კი, სადაც თვით-მოქმედობის ძალი სა-
 ზოგადოებისა აღორძინებულია, სადაც გონებითი და ზნე-
 ობითი ნიჭი წარმოებს ცხოვრებასა და მისგამო ცხოვ-



რებს დღეს და ჭსჩქებს—იქ ყურნალ-გაზეთობა აზრის
აღებ-მიცემობა, იქ იმის ამომასხვია, რასაც ჩაჭმისებს
საზოგადო აზრთა დენა, შეტაკება და ბრძოლა.

სოლო ამის კი დავუმატებთ, ანუ უკედ ვჭსთქვათ,
განვიძიებთ, რომ ცხოვრება რაც უნდა უძლეური, მიმკვ-
დარი და უღონო იყოს იმდენად ღირს-შესანიშნავი რამ
აზრის, რომ ყურნალ-გაზეთობას არ შეუძლიან თვის ერთ-
გვარს დაწინაურებას აჭეკეს და ცხოვრებას თავალი და უუ-
რნი არ ათხოვოს. როგორც უნდა იყოს ცხოვრება ძლი-
ერი, თუ უძლეური, მძალი, თუ დაბალი ყურნალ-გაზეთ-
მა უსათუოდ უნდა თავალი დააკვიროს, უნდა შეისწავ-
ლოს, უნდა განმარტოს. იმიტომ, რომ ადამიანები განა
მარტო მყოფებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომჭ-
მდნი პირნიცა. ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქნი-
ლება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭინსახული. რასაკვირ-
ველია მოჭინსახული უნდა იცოდეს თვისი ნამოქმედარის
ავ-გარჯიანობა, თვისება. ამისათვის ყოველ საგანს, ყო-
ველ მოვლენას ცხოვრებისას, ავს თუ კარგს, დიდს თუ
მცირეს ყურნალ-გაზეთმა უნდა მიაქციოს ჭეროვანი ყუ-
რადლება და შეძლებისა მებრ მიჭსტეს სასტიკს გარჩევას
განმარტებას თავისის რწმენისა, აზრისა და ცოდნის და
კვალად. ამ შემთხვევაში მძიმე საქმესედ ექმნება ღაპარა-
კი, თუ უძირეს საგანსედ—ყოველგან და ყოველსთერში
ყურნალ-გაზეთმა უადრესი და უპირველესი მნიშვნელობა
უნდა მისცეს იმ იდეას, იმ დედა-აზრს, რომლითაც თვი-
თონ სულდგმულბის, იმ გონებითს მხედველობას, რომ-
ლითაც თვით უყურებს საგანსა.

შემოსწესებელი აზრები რომ ჩვენს საზოგადოებას
და ჩვენს მწიგნობრობას მივმართოთ, ადვილად გამოსადნო-
ბია რა გზა უნდა ამოიჩინოს ჩვენში ყურნალმა, თუ
გაზეთმა.

სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება
საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო საღმრთო ცხოვრების
დაკვირება და განმარტება,—აი რაში მდგომარეობს ჩვე-
ნის გაზეთის პროგრამა.

დრომ გამოაჩინოს რამდენად შევძლებთ იმ საქმეს,
რომლის კისრად ალება ჩვენ დღეს გავბედეთ.

რადგანაც ყურნალ-გაზეთი ადამიანის ყოფა-
ცხოვრებაში უნდა მოქმედებდეს და იმ ყოფა-ცხოვ-
რების საკეთილად იღწოდეს, ამისგან ადამიანი ცალკე
როგორც კერძო პირი და ერთად როგორც საზოგადო-

ებას სულ შეუხებელად ვერ გადურჩება გაზეთისა. იმ გა-
ზეთის, თუ ყურნალს, რომელსაც აქვს თვისის ღირსების ცნო-
ბა, თვისი პატივისცემა, და თვისი კეთილშობილური თავ-
მოწონება, იგი იმავე ღირსებით, იმავე პატივის ცემით
უნდა მოქცეს ყოველს კერძო პირს და ყოველს საზოგა-
დოებას. ეგ პატივის ცემა კერძო პირისა და საზოგა-
დოებისა დედა-განონად უნდა ჭქონდეს ყოველს რიგიანს
და მართებულს ყურნალს თუ გაზეთსა. სოლო პა-
ტივის-ცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ
ადამიანი ადამიანს პირ-მოთხებით ექცეოდეს. ეგ ადა-
მიანის პატივის-ცემა კი არა, ეგ შეუცაც-ყოფა იქნება.
ცუდია, თავის მეცნიერების შემადგენელია, ადამიანის მო-
დალატა ის ექიმი, რომელიც სწუხს უებას წამალს
არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარაა. არა, ჭეშმარიტი
პატივის-ცემა ის არის, რომ პირში, გულისხმილად ადამი-
მიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას
რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხ-ჭყოს მისი ადამიანობა
მისი კაცობრიული გმნობა, ღირსება და პატივი, არ
დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ხსენებითი კანო-
ნი, რომელიც კაცს კაცად ჭქმნის და რომლის მეხსიერ-
თაც იგი თავის-თავს კაცად ჭსტნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო,
იმაზედ სანატრული, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი,
რომ კაცმა კაცისაგან პატივის-ცემა, ღირსეულად და მარ-
ტებულად მოქცევა ითხოვოს? სხვა რის მეხსიერ უნდა
იყოს მწიგნობრობა საერთოდ თუ არ ადამიანს უფლების
შემნატრეთ, მწუთ და მოსარჩლეო? სხვა რით არის ადა-
მიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ამ
ხსენებითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი
ხარ, ერთმანეთის პატივის-ცემა გვმართებს?

ძნელია ეს ყოველისთერი, ჩვენო მკითხველო, მაგ-
რამ მაგ სიმწიქეშია ის საწყაოც, რომლითაც უნდა აიწ-
ყოს გაზეთის ღირსება და რომლითაც შენ უნდა მიუწ-
ყო მისთა მოღვაწეთა შენი გულისთადი თანა-გმნობა,
შენი პირუთვნელი პატივის-ცემა და შენი უანგარო სიყ-
ვარული.

სამართალის მათიანი

ტფილისის გუბერნიის ეკონომიური დონე რის
ნაკლებ არ უნდა იყოს. ჩვენ აქამომდე ჩვენის ქვეყნის
სტატისტიკისა, თუ ეკონომიურის ვითარებისა ბევრი არა

ვიციოთ რა. თუ ამ საგნებზედ სხენებულა რამ ისიც რუსულად ნაწერებში კანტი-კუნტად თუ სადმე მოიპოვება, თვარემ ქართულს ენაზედ ჩვენ ამის შესახებ ანა გვასსოვს რა. ამის გამო, ჩვენ ვთქვამთ, რომ არ იქნება მეტი ამ საგნებზედ წარმოკუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი ცნობა და ამასთანავე განუთხაროთ მას ის თქვი და დასკვნა, რაიც, ჩვენის აზრით, მაგ ცნობებს შეუდგება. ცნობანი, რომელთაც ეს წერილი ქვემოდ მოგასსენებთ ამოკრეფილია ტფილისის გუბერნიის დებულების ოქმებიდან. ამიტომაც ეს ცნობანი უფრო დასაჯერია, რადგანაც დებულების ოქმები ვერ არის განსილული მებატონისა და გლეხის მხრითა, რომელთა მწვავე ინტერესს მაგ ოქმების სიმართლე შეადგენს და მეტი ადგილობრივ გამოკვლევითა, შეთანხმებულა და შემოწმებული მთავრობის კაცისაგან. ამის გამო თუ რაიმე სიგელი ქვეყანაზე დასაჯერია, იმათში დებულების ოქმები უკანასკნელნი არ უნდა იყვნენ. ამას კი მოვიხსენიებთ, რომ ჩვენ მხედველობაში გვქონდა მარტო 14230 კომლის ოქმი. მთლადვი ნაყმები თბილისის გუბერნიისაში 17,360 კომლია. *)

ამ ოქმებიდან სხანს, რომ დროებით ვაღებულები გლეხი, რომელთაც მიწა და ბინა მაჭსტეშიათ ტფილისის გუბერნიისაში ეოფილა:

- 1) კამერალის აღწერითა:
 - ა) კომლი — — 14,119.
 - ბ) სული — — 57,077.
- 2) დებულების ოქმებით:
 - ა) კომლი — — 14,230.
 - ბ) სული — — 57,632.

ამათ მისტეშიათ სხანსად:

- 1) კენსები — — 9,484 დლიური და 874 ოთხ-კუთ.საყ.
- 2) სხანსავი და სათიბი — 135,814 — და 237 —

ამათ შორის:

- ა) საწვავი, ანუ საწვავად ჩათვლილი 85,300 — 353 —
- ბ) უწვავი — — — — 50,513 — 1084 —

რინცხათა შუა ანგარიშით კენსები მოდის:

- 1) კომლზედ: — 800 ოთხ. საყ. ანუ 2/3 დლიურისა
- 2) სულზედ: — 198 — — ანუ 1/6 დლიურის. ცოტანაკ.

ამავე ანგარიშით მიწები მოდის:

- 1) კომლზედ:
 - საწვავი — ნდლიურზედ ცოტა ნაკლებ
 - უწვავი — 3 1/2 დლიურზედ ცოტა მეტი
- 2) სულზედ:
 - საწვავი: — 1 1/2 დლიურზედ ცოტა ნაკ.
 - უწვავი: — 1 დლიურზედ ცოტა ნაკ.

*) იხსულო: Поzemельная регистрація временно-обязанныхъ крестьянъ Тифлисской губерніи (по уставнымъ грамотамъ) 1873—1874 г.

ესლა ამ რინცხათა სქემას რაც შეუდგება რომ წინ გავიძღვლოთ, შეგვიძლიან, ვარაუდობით მაინცა თუ არ გულ დაჯერებით, ადვანსათ ტფილისის გუბერნიის მთელის გლეხობის ვითარებადა.

ვიდრე ამ აღსანს შეუდგებით საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ნაყმითა ვარაუდობით ჩვენის გუბერნიის გლეხობას შეადგენენ საეკლესიო (რომელიც ესლა სასარად არის შერიცხულნი) და სასანო გლეხნი, რომელთაც როგორც კენსები, ისე სხანსავ-სათიბი მიწები უფრო უსვად და ბლომად აქვთ. ამას დამტკიცება არ უნდა. ეს ყველამ იცის, ვისაც კი ამ მხრით თვალ-უური უდევნების ჩვენის ქვეყნისათვისა. მაშასადამე ნაყმითა წილად სდომილობის ზომასზედ რომ წავიდეთ და ამ ზომით ადვანსათ საეკლესიო და სასანო გლეხთა მიწათ-ქონებლობის რაოდენობა — ეგ რაოდენობა ნაკლები იქნება და არა მეტი მასზედ, რაც ნამდვილად უნდა იყოს. მაგ გვარად გამოკვლევულს რაოდენობას ის დირსება მაინც ექმნება, რომ კაცი გულდაჯერებით იტყვის: უეს უკანასკნელისა; ამასზედ თუ არ მეტი ნაკლები აღარ შეიძლება იყოს. ესეც ერთის ფეხით წინ წადგომას მისთვის, ვისაც ჩვენის ქვეყნის ვითარების გაგება უნდა. ვერ ეს ვიმელოფინოთ, ვიდრე ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა მოსახლეთა თაობასზედ უფრო ნამდვილის ცნობის შეკრება შესაძლო გვქონება.

ტფილისის გუბერნიისაში სული ითვლება სული — 652,833. წინად-სხენებულის რინცხათა-შუა ანგარიშით სულზედ რომ 198 ოთხ-კუთხიანი საყენი კენსი ჩავთვალთ, 1 1/2 დლიური საწვავი მიწა და 1 დლიური უწვავი, გამოვა რომ მთელს გუბერნიისაში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, გლეხობას უჭირავს:

- 1) კენსები — — 108,550 დლიური და 914 ოთხ. საყ.
- 2) სხანსავ-საწვავი — 972,249 1/2 დლი. } 1,625,082 1/2 დლი
- სათიბი უწვავი — 652,833 —

მცოდნე ზინი გულდაჯერებით ამბობენ, რომ დლიურს კენსსზედ რინცხანს მოსავალში სანი სანაღრე (ოთხისი თუნგი) ღვირ უნდა გამოვიდეს. ჩვენ რომ ერთი სანაღრე (133 1/3 თუნგი) მაინც ვინგარიშოთ, გამოვა რომ ტფილისის გუბერნიის გლეხობას წელიწადში მოხდის ღვინო:

სანაღრე — — — 108,500.

ბევრგან მიღებულია რომ წელიწადში სეტყვისაგან სდება 1/10 ადგილი. ჩვენ რომ ამასზედ მეტი სეტყვის სხვერზლად გადავლოთ, ესე იგი, 1/8 მთელის გუბერნიისა და ამის წინახედი 1/8 ღვინის მოსავლიად გამოვიდეთ, მიხს დაჩება 94,937 სანაღრე და ცოტა მეტი.

სანსავი მიწები რომ ნახევარი ჩვეულებასამებრ იხსებოდეს და ნახევარი ისვენებდეს, გამოვა რომ ეოკვლ-წლივ ჭირსახულს ქვემა იქნება:

- 1) სარწყავი — 486,124 *
- 2) ურწყავი — 326,416.

მცოდნე პირთაგან გავიხილო გვაქვს, რომ რაც მიწების მოქმედებაში, იმათგანი 1/2 ზურის მოსავლისა, 1/4 სიმინდისა, 1/6 ჭერისა და 1/12 ფეტვისა. ამ ანგარიშით გამოვა რომ:

- 1) სარწყავ მიწებზედ მოდის:
 - ა) ზური — — — 243,062 დღიურზედ.
 - ბ) სიმინდი — — — 121,531 —
 - გ) ჭერი — — — 81,020 —
 - დ) ფეტვი — — — 40,510 —
- 2) ურწყავ მიწებზედ მოდის:
 - ა) ზური — — — 163,208 —
 - ბ) სიმინდი — — — 81,604 —
 - გ) ჭერი — — — 54,402 —
 - დ) ფეტვი — — — 27,201 —

დღიურმა სარწყავ-მიწამა რომ 12 სამ-ფუთიანი კოდი ზური აყენოს **, სიმინდი—16 კოდი, ჭერი—16 და ფეტვი—16 კოდი, გამოვა წლის მოსავალი:

- ა) ზური — — — 2,916,744 კოდი
- ბ) სიმინდი — — — 1,944,496 —
- გ) ჭერი — — — 1,296,320 —
- დ) ფეტვი — — — 648,160 —

სულ ერთად იქნება:—6,805,710 კოდი.

დღიურმა ურწყავმა რომ 6 კოდი ზური აყენოს და რვა-რვა კოდი სხვა ზემოხსენებულ სულადი, წლის მოსავალი გამოვა:

- ა) ზური — — — 979,249 კოდი.
- ბ) სიმინდი — — — 652,833 —
- გ) ჭერი — — — 435,222 —
- დ) ფეტვი — — — 217,611 —

სულ ერთად:— 2,284,915 კოდი.

სულ ტფილისის გუბერნიის გლეხობის სულადის მოსავალი სარწყავისა და ურწყავის ერთად ამ ანგარიშით შეადგენს 9,090,625 კოდს.

ერთი მეტრადი დათესილის მიწებისა რომ ყოველწლივ ისეტყებოდეს, ანუ მთელი გუბერნიის რვა წელი-

*) ამის ქვევით ყველგან წილადებს (продн) ანგარიშში აღარ მოვიტანო, იმიტომ რომ რიცხვს ცუდი-უბრალოდ აატრელებს და თითქმის არა ვითარს შეცნაულებობას კი არ შეადგენს.

**) ჩვენ ქვევით დღიურზედ თესლი 3 კოდი ვიანგარიშეთ ამის კვალობაზედ ზურის მოსავალს ერთს ოთხად ვაგებთ და სხვა სულადისა ერთს სულად და ერთს შესამედად. ვერაფერს ვერ იტყვის, რომ ეც მოტარებულად ნანგარიშებულია.

წადში ერთსულ და ამისგამო 1/8 წანასედი ყოველის წლის მოსავლიდამ გამოვიდეთ, ძირს დაჩნება 7,954,297 კოდი.

ამ დასაჩნენიდან რომ დღიურზედ სამი კოდი თესლისათვის გადავსდეთ, სარხდობისათვის ხალს მთელს გუბერნიისაში დაჩნება 5,517,677 კოდი.

სულადისა და ღვინის მოსავალი რომ ტფილისის გუბერნიის სულთა რიცხვზედ გავანაწილოთ, გამოვა რომ წელიწადში თვითო სულს სვდება:

- ა) სულადი-რვა კოდი და ორს ფუთზედ ცოტა მეტი
- ბ) ღვინო—ორცაღრს თუნგზედ ცოტა ნაკლებ.

1877 წ. რუსულს კავკასიის კაღენდარში მოსხენებულა, რომ მთელის გუბერნიის მოსავალს, (მაშასადამე არამც თუ მარტო გლეხობისა, არამედ თავად-ახნაურობისადაც) შეადგენს:

- 1) ღვინო 2,297,800 კოდრს.
- 2) სულადი, სათესლეს რომ გამოვიდეთ,—1,574,846.

ჩეტკერტს.

მაშასადამე კაღენდარის ანგარიშით სულზედ წელიწადში მოდის:

- 1) ღვინო—ათ თუნგ-ნასეკარი.
- 2) სულადი (ზური, სიმინდი, ჭერი და ფეტვი) სამი კოდი და ერთი ფუთი.

ამას რომ დავუყურებთ, გამოვა რომ ჩვენის გუბერნიის ხალხი თუ წუთიერად არა, შიშინით მანც აქედან უნდა ამოწვევტილიყო, ან არა და ღვინოცა და ზურიც სხვიდან უნდა ეზიდნა ყოველ წლივ. ეს დაუყურებელია, იმიტომ-რომ სხვიდამ მოტანილს სასუფიელი უნდა და ჩვენს გუბერნიას თუ ღვინო და ზური სხვიდამ უნდა ზიდეს, სხვა რა აქვს, რომ ის გაუიღოს და მის ფასით ზურისა და ღვინის აუცილებელი საჭიროება მოიგვას.

ცხოვრება და კანონი
—
წერილი ზირველი

ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მართოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჭავა მიჭსტეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდობისათვის, მანც და მანც ხალხთა კეთილ-დღეობას სხვა მხრითაც სელის შეწეობა ჭადომეიია. კაცს მავადენად კერა შველის თურმე კერც სიკეთე ჭაკრისა, კერც სიმუჭე მიწისა, კერც შეძლება ყოველ-გვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცნადად განსხდრული არ არის ურთიერთ-შორისი უფლება და მო-

კალეობა. კაცთა კმყოფილებსათვის, ხალხთა კეთილ-
დღეობისათვის ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად სა-
ჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ. მთიულესა
შობილანდისის კარს ახვევიან გულ-დასურული, ღარიბი
ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ანთმევს ბუ-
ნებას იმ თვითთა ლუკმა ჰურს, რომელსაც აწვდის თვის
ჯვალაბს საზრდოებისათვის. იგი თავ-გადადებით, თავ-
გამომეტებით დღე და ღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი
ესრეთ მონაკებული ლუკმა ჰური ძლიერ-მოსილობაა მისის
მხნეობისა, შრომის-მოყვარეობისა. თუმიცა ესრედ აღამებს
იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიე-
რისა და კმყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც
ბედს შემოუფარვლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვ-
რებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე
გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულ-და-გული კა-
ცი, მეორე არის გულ-ჩათუთქვილი, ილაჯ-გაწვეტილი,
ფრთხალი და გათელილი. ერთი იმედით აღსაესე სულ
წინ იუერება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლიერ-
მოსილობაა სვალისათვის, მეორე სასა-წარვეკილია, ში-
შით სულ უკან იუერება და გუშინდელს მშვიდობით გა-
ტარებულს დღეს ნატრულაბს და არა ჭსწამს სვალე. ერთი
სულით თუ ხორციით ყოველ-დღე წარმატებაშია, თუმიცა
ღარიბი ბუნება ახვევიან, მეორე სულითაც და ხორციითაც
დაღვეაშია, თუმიცა მისგარე ბუნება უხვია და მდიდარი.
რა არის ამისი მიზეზი? ის არის რომ ბედნიერმა შობი-
ლანდიელმა იცის ჩემი აქ თავდებარა და სხვისა აქ იწყო-
ბარა, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც
სხვისა.

რაც სხვისაა,—ჩემი მოკვალეობა; რაც ჩემია,—ეგ
ჩემი უფლებაა.

უფლება და მოკვალეობა, რომელნიც არიან პირველნი
და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთ-შორის განწყობი-
ლებისა, დაიდგინება და განსაზღვრება მხოლოდ ხალ-
ხის კანონთ-მდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რა-
საკვირველია, საბუთი აქვს მათ ვინც ამბობენ, რომ
მომქმედთა კანონთა უფარვისობა, თუ სიკეთე თვითონ
ხალხს ბრძლიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო
კანონებსა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს
საბუთი, ჰკენ მაგის გამომიებას არ შეუდგებოთ. ჩვენ
მართლ იმ გინდოდ გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი
ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი,
კაცთა უფლება და მოკვალეობა ძნელად გასარჩევია და არ
არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ,
იქ ხალხის წარმატება და კეთილ-დღეობა, თუ ყოველ-დღე
უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი
მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ
მოუციათ ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის? ყოველის-
ფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთ-

შორისი განწყობილება. მაგრამ ამ უკანასკნელს ათს წელი-
წადში, სახელდობრ 1864 წლიდამ, ჩვენში ბევრ-გვარი
ცვლილება მოხდა, რომელთა აზრით ჭქონდათ და აქვთ
საზოგადო ურთიერთშორისი წყობილება უკეთეს და
უფრო უმართლეს ნიადგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას
ჩვენში ყოველი გონიერი და მისხედრილი კაცი დიდის
სინარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება. ხოლო
გამართლდა ჩვენი სინარული და აღტაცება თუ არა? ჩვენ
ვეცდებით, ამის შესახებ მივცეთ მკითხველსა.

1864 წ. მოხდა ჩვენში ემების განთავისუფლება.
მოსიპო ჩვენში ერთისაგან მეორის აღამიანობის გაქლე-
ვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და
უკეთესი მხარე ამ სახელგანის ცვლილებისა. აქ ყოვე-
ლივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა;
ერთს ჩამოაცდა ეს, რაც სიმართლის შეურაცხ-ყოფა
ყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ
ჭქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და
სადავიდარაბო არა დაჩხინილა რა, ჩემსა და შენსა ამ
მხრით მათ-შორის აღვილი აღარა ჭქონდა. მაშასადამე აქ
საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოკვალეობი-
სა. ხოლო ბატონ-ემობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომ-
ელსაც ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის დიდი მნიშვნელობა
აქვს. განთავისუფლებულს გლეხს დაბინავება უნდოდა. უა-
მისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ
კაცისათვის გეთქვათ: წადი, ესლავ თავისუფალი ხარ, რომ
შემშლით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ ეს ასე არ მოხ-
და. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის
აღრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს
სამხარისად დაუტყვეს, მაშასადამე აუცილებელი საჭიროე-
ბა მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოკვალეობა
გლეხისა და საბატონარის შორის. აი ჩვენი ფიქრით, ამ
განსაზღვრებაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავ-დაპირველი სი-
ნარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი
გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა,
დიდი ღაპანაკი და ყყყინი იყო მასზედ თუ როგორ
უნდა გაამეღონ ბატონი ემისა, ყმა ბატონისა. მცირემ,
მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ მა-
შინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმასე მიდგაო, რომ უსა-
თუგოდ უნდა გაეშველდეთო, ისა ჭსჯობიაო ესლავე
ისე გაეშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურა-
ვისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დაჩ-
ხეს რაო. რაკი გლეხი მისის საჭერის მიწების მეზა-
ტრონეთ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად
მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამ გვა-
რად გაშველებსათვის ორი გზა იყო: ერთი ის რომ
მებატონეს მაშინვე მიეუივნა გლეხისათვის მამული და
მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაეძარბა, ან არა

და გადასასადი მოჭრით განუსაზღვრათ, გადაკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არ ჩვენსეუდ მივარდნილ იყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულად უარ ჰყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უძრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა-აზრი და იჩინა საქმის გათავის იყ, რომ გლეხისა და ნაბატონის შორის ცოტა კლასი-გამოსადები რამ დაჩინილ იყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოკვლეობა ერთისა და მეორისა. მოჭყვას ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი. სხვა და სხვა კანონები სადავიდარაბო და ღარივე მსრისათვის თავში სცემი. რომ მეპატონესთან გლეხი პინათლად გამოსულიყო, რასაკვირველია მეპატონის კაცი უნდა დასწრობოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთავალა თუ აწყო. დაიღვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მაინც. ახა ესლას იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მეპატონეს, რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყუბი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწოდებოდა ათსა და ოცს კომლს? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადაკეებულად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა — ეტყვი უნდა ჩავადნილიყო, გლეხი მომპარა და გაგზავნიდა — ვიდრე იმ მეოთხედიდამ კაცების დაჭერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირშუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილ სინიდიანიობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეთათა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონის კაცს, ვინ იცის რადის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ღოდინში შიშით სული ელოდა, ავადრამა ნამუშევარი არ წამისდინოსო; არ მოუცდიდა ვიდრე შიში ჰქვავდა, მეტს წამომედაკებინა.

ამ ყოფაში ან ერთს რა გამოჩინა ექმნებოდა თავისის მამულიდამ, ან მეორეს თავის ნამუშევარიდამ. ამ მდგომარებაში ან ერთის გაკეთება რა საფიქრებელია, ან მეორისა. აქ ბევრსაც რომ ცდილიყვნენ ვერც მეპატონე და ვერც გლეხი ვერ შესძლებდნენ საქმე ისე მოემართათ, რომ ურთიერთის უფლება და მოკვლეობა არ დაეკრავათ. ჩვენ ამისი მოწამევე ყოფილვართ რომ გლეხს ვერც დალობადეს ნამუშევარი ბატონის კაცის ღოდინშია. ხანდისხან ჯაბჭი ამასეუდ უარესს საქმესაც მოახდენდა ხოლმე. ამისი მაგალითები ორივეს მხრით ბევრია. ესე იყო თუ არა, მაინც და მაინც მაგ განუსაზღვრელს მეოთხედობის გამო ბატონისა და გლეხისა საქმე იმა-

ზედ შეუდგათ, რომ ნებით თუ უნებლიედ ურთიერთის კეთილ-სინიდიანიობაზედ უნდა დამყარებულყვნენ. ვინ არ იცის ვიდრე, რომ კეთილ-სინიდიანიობა გაჭიმული თოკია, რომელსაც დიდნი ზედ გადაბოტებენ და ისე გადადისან პატარები კი ქვემ გაუძვრებიან ხოლმე. რადგანაც ამგვარს ვარჯიშობას არც დიდნი თავილობდნენ და არც პატარები, ამიტომაც ატყდა ბატონისა და გლეხის შორის აურებელი საჩივარი და დავიდარაბა. პირველ სახეში ამ საჩივრებს ვერ აზდიოდნენ მოსამართლენი.

ამ მეოთხედობას ამას გარდა სხვა აუცილებელი კანონიც დაერთო საშოგოთო და სადავიდარაბო. რაკი მეოთხედი უნდა ეძლია გლეხს, ისიც უნდა დაეწესათ თუ რამოდენა უნდა ესნა გლეხს უოკველ-წლივ. უამისოდ გლეხს რომ ათის დღის მიწა სჭერებოდა და მარტო ერთისა ესნა, მეპატონეს თავისის საკუთრებიდამ ბევრი არა შემოუვიდოდა რა. ამისათვის გლეხს კანონმა კისრად დასდვა, რომ უსათუვოდ რგებულის მიწების ხსენვარი უოკველ წლივ მოხსული უნდა ექონდესო. ამ კანონმაც მრავალი შოგოთი ჩამოაგდო ორთა შუა და მრავალი საჩივარი გამართა. შოგოთებმა ამ ორ წოდებათა შორის უსამოვნობა დათესა და საჩივრებმა ვიდრე თავი მოახერხა მეპატონესა და გლეხსაცა. ახლას ამას ისიც ზედ დაართო, რომ მაგ საჩივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა გამართებოდა ხოლმე, დაბარება, გამოძიება და ამისგამო საჩივარის თავი თუძვს იყო, მაგრამ ბოლო კი არა ხსნდა. რადგანაც აქ საქმე თითქმის დღიურს საზრდოებაზედ იყო შემდგარი, ამისათვის ვერც მეპატონე ითმენდა და ვერც გლეხი იმ დრომდე ვიდრე სამართალი თავისის იტყოდა. გამართებოდა ხოლმე ძალ-მოძრეობითი ტაცება, დატყვა და სხვა ამგვარი. ამ დანაშაულობას შეუდგებოდა ხოლმე ახალი საჩივრები და დავიდარბები. ამავების გამო ცხოვრების ილავი გლეხსაცა და მეპატონესაც გაწვეტილი ჰქონდა. რასაკვირველია, გლეხს უფრო, ვიდრე მეპატონესა, იმიტომ რომ გლეხი დღიური მუშა კაცია და ამისათვის საჩივრებისგამო აქა იქ თრევა და ტანტალი ლუკმა შურის დაკარგვას. მართალია ზოგან რომ არაქათი გაუწუდათ ბატონსა და გლეხსაც, აიღეს და ებ საშოგოთო და განუსაზღვრელი მეოთხედი გადაკეთილ და გადაჭრილ გადასასადად გაიხადეს, ერთის სიტყვით, შინაურულად მოჩვიდნენ. მაგრამ საუბედუროდ ყველგან არა. ებ მარტო იქ მოხდა, სადაც გლეხს უფრო კაც-მოყვარე და მშვიდობიანი მამულის პატრონი შესვდა და საცა მაგისტრანს მამულის პატრონი — გულ-მართალი გლეხი. უფრო ბევრგან კი ჯაბჭისაგამო თუ დავიდარბის სიყვარულისა გამო, ისევე განუსაზღვრელი, სასათაბალო, მიზეზიანი მეოთხედობა დაჩნა. ამისგამო დღესაც თუ არ წაწა და გლეხსა, უსამოვნობა მაინც არის და არის.

მთავრობას, რომლის თანხმობითაც გაუქმდა ჩვენში ბატონ-უმობა, წინააღმდეგ დანახული აქვს კვ უსიამოვნო შედეგი განუსაზღვრელის ყოფა-ცხოვრებისა და ბატონისა და გლეხის საკეთილად წამალიც ცნობილი და ნაშრომი აქვს. თუმცა მეოთხედობა გლეხთა-განთავისუფლების წესდებაში შევიდა, მაგრამ მთავრობის შიშ-მსედეგლობითმა მსჯელობამ ურჩადლება მიაქცია იმ უმცირესთა დედა-ახრსაც, რომელიც წინ მოვიხსენიეთ. იმავე წესდებაში ორი გზა არის ნახევრები ბატონ-უმობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს და მეორე ის, რომ ვადრე ეს მოხდეს, კვ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადათ უნდა იქცეს. ამ ორს საგანზედ შემდეგში გვქმნება ლაშაჩავი.

მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთა თვის.

წავიდა ის დრო, როდესაც თვითიველი სახელმწიფო, თუ საზოგადოება მატრო თავისის თავის მამულებელი იყო და მატრო თავის კერძო ავ-კარგისაგანში განთული თვითიველი ქვეყანა ისე მკვიდრად იყო ვარ-ხაკტილი და ზღუდე მოკლებული, ისე მიუჯარებლად განშორებული სხვა ქვეყნებთან, რომ თითქმის ჭინს კრიდება, ან მტრის ესაფრება. ერთის ქვეყნის ხალხი მეორეს ან მტრის თავლით უუფრებდა, ან თავ-მოწონებით, რომ მე ის რა-გორ მეკადრება. თქმა აღარ უნდა, რომ ამ გვარს ვარ-ხაკტილობას და მიუჯარებლობას დიდი მავნებელი ზედ-მოქმედება უნდა ჰქონოდა ხალხთა ყოფა-ცხოვრებაზედ, უნდა ძლიან შეეფერებინა მისი განთლება, განვითარება, მისი უკეთესობის წადილი და მიდრეკილება. ოთხს კედელშია დამწვედული საზოგადოება ერთხელ დადგინებულის წესისა და ჩვეულების შეგუბებულს ჭარბი სუფს იტრიალებდა; ვარდამ მას არც მზე და არც გამცრულ-ლეხული სიო არ ეკარებოდა. ვარდამ ცნობილი სხვის მაგალითი, რომელიც შეადგენს დიდს ძალს განთლებისას და უკეთესობისას, თავისის მკობლების გაცნობა, მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლა, მათის ავ-კარგი-ანობის შეტეობა და აქედამ ნაყოფის გამოტანა—უკვლავ ეს გაუგებარი იყო იმ დროების საზოგადოებისათვის, თუ არ მტრობისა და ჩხუბისათვის, თუ არ ომიანობისათვის ერთი ხალხი მეორეს არ შეხვდებოდა სოფელში.

სოფელ მოვიდა უამი და ქვეყნის ისტორიის სურათი სრულად გამოიწვალა. საზოგადოებაში ჭსნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობი-

სა; დაინახა რომ თავისი ბედი და უბედობა ბუკრად დამოკიდებულთა უცხო ხალხთა ბედს და უბედობაზედ; დაინახა რომ ხალხთა-შორისი მისულა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა ძლიერი საშუალებაა ხალხის წინ ფუის წადგმისათვის, ცხოვრების უკვლ მარწობისათვის. ამასი მდგომარეობს სხვათა შორის ამ ხალხს დროის ერთი შესანიშნავი ღირსებაცა. როგორც ადამიანისათვის ცალკე, ისე საზოგადოებისათვის საერთოდ სხვის მაგალითი დიდი რამ არის. ცუდი, თუ კარგი ორივე გამოხატულება. ცუდს ავიტყუთ, კარგს მივითვისებთ. აქედან ჭსნის, რომ ყოველმა გაზეთმა ანუ ურჩხლმა უნდა შესაბამი ადგილი მისცეს და ღირსეული ურჩადლება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომარეობას, თუ სურს სხვის მაგალითით თვით-ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აზოვინოს, უბედურების მიხედვნი მოახლოვინოს, იმიტომაც რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია.

ამ სახით სამაგალითო და ღირს საცნობ საგნად წარმოკვიდვება სხვათა შორის უცხო ხალხთა საზოგადოებო ცხოვრებაცა. ვარდა ამას ხალხნი და სახელმწიფოები ისეთ ნაირად არიან ურთი-ერთზედ დამოკიდებულნი, ურთი-ერთის საქმეში ჩართულნი და ჩაბმულნი, რომ ერთის საზოგადოებო ცხოვრებას და მოძრაობას მეორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრითაც საზოგადოებო ცხოვრების შესწავლას თავისი ღირსება და ადგილი აქვს. მამასადამე ჩვენც უნდა მივცეთ საზოგადოებას ღონისძიება, რომელს მეორებითაც მას უნდა გაიცნოს უცხო ხალხთა ყოფა-ცხოვრება, და ცნობიერებით თავლ-უფრო ადვილად მათს საზოგადოებო მოძრაობასა. ამ მოკვლეობის აღსახრელებლად დანიშნულია ჩვენის გაჭრის ერთი ნაწილი „უცხოეთი“.

აწინდელ საზოგადოებო ცხოვრების მიმდინარეობას მით უფრო ადვილად ავადვენებთ თავლ-უფრს, მით უფრო სასიეროდ და მკვიდრად გამოვიყენებთ მას, რასაც ამ საგანზედ გავიგებთ და დავინახავთ, რამოდენადაც ჩვენ შესწავლული გვექნება სხვა და სხვა სახელმწიფოების აგებულება, მათი საზოგადოებრივი და მთავრობითი წყობილება, მათი აწყო და წარსული. ამ მიხედვით საჭიროდ ვრაცნთ წარკუდგინოთ მკითხველს ზოგიერთი თავლთ სახინო ცნობა იმ სახელმწიფოებზედ, რომელთა შორის უმთავრესად მომდინარეობს ამ უამად საზოგადოებო ცხოვრება. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმისთანა საგანსა, იმისთანა საჭირო ცნობას, ურომლისათვც ჩვენის ფიქრით საყოველ-დეო მოძრაობა ზოფი-ტივისა მწელად გასაგებია და მისაწადობია.

ამ გვარს განსივლავს ჩვენ ვიწყობთ ოსმალეთს სახელმწიფოდგან, რადგანაც თითქმის ამ სახელმწიფოზედ

არის ამ უმაღლეს მიწვეული მთელს ევროპის განსაკუთრებით ყურადღებას.

ოსმალეთი. დიდალი ალაგი უჭირავს დედამიწაზე ოსმალეთის სახელმწიფოს. მისი სივრცე შეადგენს 103,816 ოთხ-კუთხე მილს (გეოგრაფიულს *), ამ სივრცეზე სტრუქტურას ორმოც-და-რვა მილიონზე მეტი სული (48,283,400). უმეტესი ნაწილი ამ სივრცისა მდებარეობს აზიას და აფრიკას, ასე რომ ევროპის ოსმალეთს ეკუთვნის მარტო 9,594 ოთხ-კუთხე მილი, რომელზედაც (რუმინია და სერბიაც რომ ზედ მივათვალოთ) იმყოფება თსუთმეტ მილიონამდე მცხოვრები (14,956,900). ოსმალეთის ზირ-და-ზირის მიფლობლობის ქვეშ იმყოფება სივრცე 6,602 ოთხ-კ. მილი, რომელზედაც სტრუქტურას 8,506,900 სული.

აი როგორ განიყოფება ეს რიცხვი სხვა და სხვა ტომის სალხთა შორის: ოსმალეები ორ მილიონზე ცოტა მეტია (2,210,800), დანარჩენი ეკუთვნის სლავიანებს (უმეტესი ნაწილი) ე. ი. სერბიელებს და ბოლგარელებს, შემდეგ რუმინელებს, ალბანელებს, ბერძნებს, სომხებს, ურბებს, ბოშებს და თათრებსა.

